# ანალიტიკური წერა

## შეფასების კრიტერიუმები

საგამოცდო ტესტის ნაწილი „ანალიტიკური წერა“ შედგება ორი დავალებისაგან:

I. თემა მოცემულ საკითხზე

II. მსჯელობის ანალიზი

ანალიტიკური წერის შეფასების მაქსიმალური ჯამური ქულა არის 24 (თემა მოცემულ საკითხზე – 12 ქულა, მსჯელობის ანალიზი – 12 ქულა). იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

(1) უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ საკითხს – დავალების პირობას.

(2) არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს.

(3) შესრულებული უნდა იყოს გასარჩევი ხელწერით.

თუ რომელიმე ამ პირობებიდან არ იქნება დაცული, ნაწერი შეფასდება 0 ქულით.

ნაწერის მოცულობა უნდა იყოს:

- თემა მოცემულ საკითხზე – არა უმცირეს 100 სიტყვისა;
- მსჯელობის ანალიზი – არა უმცირეს 80 სიტყვისა.

ნაწერის მოცულობის სიმცირის შემთხვევაში ნამუშევარი გასწორდება მხოლოდ პირველი და მეორე კრიტერიუმების (*რელევანტურობა, ანალიზი*) მიხედვით.

# I. თემა მოცემულ საკითხზე

| | კრიტერიუმები | განმარტება | მაქსიმა-ლური ქულა |
|---|---|---|---|
| 1 | შინაარსის რელევანტურობა | თხზულება უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ საკითხს, ფოკუსირებული უნდა იყოს თემის ირგვლივ. | 2 |
| 2 | ანალიზი (არგუმენტები, მაგალითები) | თხზულებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი: ავტორის პოზიცია წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დასაბუთებით, დამაჯერებელი, ადეკვატური მაგალითებით. | 4 |
| 3 | თხრობის ორგანიზება სტრუქტურა | ნაწერი სტრუქტურულად უნდა იყოს გამართული. აზრები მწყობრად, თანამიმდევრულად უნდა იყოს გადმოცემული. თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული. | 2 |
| 4 | სტილი, ლექსიკა | აზრები ცხადად, ნათლად უნდა იყოს გამოთქმული, ნაწერი უნდა იყოს სტილისტურად გამართული, ლექსიკა უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ თემატიკას. | 2 |
| 5 | სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია | ნაწერი შესრულებული უნდა იყოს თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით. | 2 |

ნაშრომი ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად აკმაყოფილებს ის წარმოდგენილ კრიტერიუმებს.

## კრიტერიუმების აღწერა

| კრიტერიუმი 1.<br>შინაარსის რელევანტურობა – შესაბამისობა | ქულა |
|---|---|
| დავალების პირობა სწორად, სრულყოფილად არის გააზრებული – ნაწერი შინაარსით შეესაბამება მოცემულ საკითხს და მთლიანად არის ფოკუსირებული თემის ირგვლივ. | 2 |
| დავალების პირობა არ არის სრულყოფილად გააზრებული – ნაწერი ნაწილობრივ შეესაბამება მოცემულ საკითხს – არის ისეთი ჩანართები და გადახვევები, რომლებიც მოცემული საკითხის გააზრებისათვის შინაარსობრივად არ არის ადეკვატური / აკლია დავალების პირობის რომელიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი (მაგალითად, გამოკვეთილია პოზიცია, მაგრამ დასაბუთებული არ არის) / დაშვებულია უხეში ფაქტობრივი შეცდომა. | 1 |
| დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. | 0 |

0 ქულით შეფასების შემთხვევაში ნაწერი აღარ სწორდება.

| კრიტერიუმი 2.<br><br>ანალიზი (არგუმენტები, მაგალითები) | ქულა |
|---|---|
| წარმოდგენილია მოცემული საკითხის ღრმად გააზრებული, სრული ანალიზი – ავტორის პოზიცია გამყარებულია შესაბამისი მსჯელობით და ადეკვატური მაგალითებით. | 4 |
| წარმოდგენილია მოცემული საკითხის გააზრებული ანალიზი – ავტორის პოზიცია გამყარებულია შესაბამისი მსჯელობით / ადეკვატური მაგალითებით. | 3 |
| წარმოდგენილია მოცემული საკითხის დამაკმაყოფილებელი ანალიზი – ავტორის პოზიცია ნაწილობრივ გამყარებულია მსჯელობით / ადეკვატური მაგალითებით. | 2 |
| წარმოდგენილია მოცემული საკითხის არასრული ანალიზი – ავტორის პოზიცია კარგად არ არის გამოკვეთილი და დასაბუთებული, მაგალითები სუსტია / არ არის. | 1 |
| საკითხი არ არის გააზრებული – თემა არ არის გაანალიზებული და / ან მოყვანილია უფუნქციო მაგალითები. | 0 |

| კრიტერიუმი 3.<br><br>თხრობის ორგანიზება, სტრუქტურა | ქულა |
|---|---|
| ნაწერი სტრუქტურულად მთლიანად გამართულია – აზრები მწყობრად, თანამიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება; აბზაცები ლოგიკურად არის გამოყოფილი. | 2 |
| ნაწერი სტრუქტურულად მეტ-ნაკლებად გამართულია – აზრები, ძირითადად, მწყობრად არის გადმოცემული, მაგრამ ერთი-ორი პასაჟი თხზულების სტრუქტურიდან ამოვარდნილია / | 1 |

| | |
|---|---|
| ხშირად უფუნქციოდ, დატვირთვის გარეშე მეორდება ერთი და იგივე აზრი; აბზაცები ლოგიკურად არ არის გამოყოფილი. | |
| ნაწერი სტრუქტურულად არ არის გამართული – აზრები მწყობრად, თანამიმდევრულად არ არის გადმოცემული; თხზულების ნაწილები ერთმანეთს ლოგიკურად არ უკავშირდება. | 0 |

| **კრიტერიუმი 4.**<br>**სტილი, ლექსიკა** | ქულა |
|---|---|
| ნაწერი ლექსიკურად მდიდარია, სტილი გამართულია (დასაშვებია ერთი-ორი უმნიშვნელო ხარვეზი). შერჩეულია მოცემული თემის ადეკვატური ტონი. | 2 |
| ნაწერი ლექსიკურად შედარებით მწირია / სტილისტურად გაუმართავია ზოგიერთი მონაკვეთი / ნაწერის ტონი არ შეესაბამება მოცემულ თემას. | 1 |
| ლექსიკა ღარიბია, გვხვდება უხეში სტილისტური ხარვეზები. | 0 |

| **კრიტერიუმი 5.**<br>**სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია** | ქულა |
|---|---|
| დაშვებულია 0-5 შეცდომა. | 2 |
| დაშვებულია 6-10 შეცდომა. | 1 |
| დაშვებულია 10-ზე მეტი შეცდომა. | 0 |

## II. მსჯელობის ანალიზი

| | კრიტერიუმები | განმარტება | მაქსიმა-ლური ქულა |
|---|---|---|---|
| 1 | შინაარსის რელევანტურობა | ნაწერი უნდა შეესაბამებოდეს დავალების ინსტრუქციას, წარმოდგენილი უნდა იყოს მსჯელობის კრიტიკა. | 1 |
| 2 | ანალიზი (არგუმენტები) | ცხადად უნდა იყოს იდენტიფიცირებული და გაანალიზებული მოცემულ არგუმენტებსა და დასკვნას შორის მიმართება, ასევე პრობლემის გადაჭრის გზის ადეკვატურობა. | 5 |
| 3 | თხრობის ორგანიზება სტრუქტურა | ნაწერი უნდა იყოს ლოგიკურად ორგანიზებული; აზრები უნდა იყოს თანამიმდევრული და ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული. | 2 |
| 4 | სტილი, ლექსიკა | ნაწერში გამოყენებული უნდა იყოს შესაბამისი ლექსიკა – ლოგიკური მსჯელობის წარმართვისათვის საჭირო ტერმინოლოგია; ნაშრომი სტილისტურად უნდა იყოს გამართული. | 2 |
| 5 | სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია | ნაწერი შესრულებული უნდა იყოს თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით. | 2 |

ნაშრომი ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად აკმაყოფილებს ის წარმოდგენილ კრიტერიუმებს.

## კრიტერიუმების აღწერა

| კრიტერიუმი 1.<br>შინაარსის რელევანტურობა – შესაბამისობა | ქულა |
|---|---|
| დავალების პირობა კარგად არის გააზრებული – ნაწერი წარმოადგენს მოცემული მსჯელობის კრიტიკას. | 1 |
| დავალების პირობა არ არის გააზრებული – ნაწერში გამოთქმულია მხოლოდ მოსაზრებები მოცემულ თემაზე და საერთოდ არ არის წარმოდგენილი მოცემული მსჯელობის კრიტიკა / ნაწერი წარმოადგენს დავალების პირობის პერიფრაზს / მოცემული ტექსტის შინაარსი არასწორად არის გაგებული. | **0** |

0 ქულით შეფასების შემთხვევაში ნაწერი აღარ სწორდება.

| კრიტერიუმი 2.<br><br>ანალიზი | ქულა |
| --- | --- |
| გამოვლენილია მონაცემებსა და დასკვნას შორის არსებული მიმართების ხარვეზები შემდეგი ოთხი კომპონენტის მიხედვით: (1) კონტინგენტი, (2) გალერეა, (3) სატელევიზიო გადაცემათა ციკლი, (4) კვლევა.<br><br>წარმოდგენილია:<br><br><u>ოთხი</u> კომპონენტი და პრობლემის გადაჭრის გზის კრიტიკა.<br><br>ან:<br><br><u>სამი</u> კომპონენტი, რომელთაგან გავრცობილია[1] ორი მაინც და პრობლემის გადაჭრის გზის კრიტიკა. | 5 |
| წარმოდგენილია:<br><br>(ა) <u>ოთხი</u> კომპონენტი ან <u>სამი</u> კომპონენტი, რომელთაგან გავრცობილია ორი მაინც პრობლემის გადაჭრის გზის კრიტიკის გარეშე.<br><br>ან:<br><br>(ბ) <u>სამი</u> კომპონენტი გავრცობის გარეშე და პრობლემის გადაჭრის გზის კრიტიკა.<br><br>ან:<br><br>(გ) <u>სამი</u> კომპონენტი, რომელთაგან გავრცობილია ერთი, ამასთანავე, მოცემულია პრობლემის გადაჭრის გზის კრიტიკა.<br><br>ან:<br><br>(დ) <u>ორი</u> გავრცობილი კომპონენტი, ამასთანავე, მოცემულია პრობლემის გადაჭრის გზის კრიტიკა. | 4 |
| წარმოდგენილია:<br><br>(ა) <u>სამი</u> კომპონენტი გავრცობის გარეშე, <u>სამი</u> კომპონენტი, რომელთაგან | |

[1] გავრცობა გულისხმობს კომპონენტის სხვადასხვა კუთხით განხილვას, დეტალურად, ვრცლად გაანალიზებას.

| | |
|---|---|
| გავრცობილია ერთი ან ორი გავრცობილი კომპონენტი პრობლემის გადაჭრის გზის კრიტიკის გარეშე.<br><br>ან:<br><br>(ბ) ორი კომპონენტი, გავრცობილია მხოლოდ ერთი,<br><br>ამასთანავე, მოცემულია პრობლემის გადაჭრის გზის კრიტიკა. | 3 |
| წარმოდგენილია:<br><br>(ა) ორი კომპონენტი, რომელთაგან გავრცობილია მხოლოდ ერთი პრობლემის გადაჭრის გზის კრიტიკის გარეშე.<br><br>ან:<br><br>(ბ) ორი კომპონენტი გავრცობის გარეშე და პრობლემის გადაჭრის გზის კრიტიკა,<br><br>ან:<br><br>(გ) მხოლოდ ერთი კომპონენტი და პრობლემის გადაჭრის გზის კრიტიკა. | 2 |
| წარმოდგენილია:<br><br>(ა) ორი კომპონენტი გავრცობის გარეშე,<br><br>ან:<br><br>(ბ) მხოლოდ ერთი კომპონენტი,<br><br>ან<br><br>(გ) მხოლოდ პრობლემის გადაჭრის გზის კრიტიკა. | 1 |
| არ არის წარმოდგენილი მოცემული ტექსტის კრიტიკა / წარმოდგენილი ანალიზი არ არის ადეკვატური. | 0 |

| კრიტერიუმი 3.<br>თხრობის ორგანიზება, სტრუქტურა | ქულა |
|---|---|
| ნაწერი მთლიანად არის გამართული სტრუქტურულად – აზრები მწყობრად, თანამიმდევრულად არის გადმოცემული; თხზულების ნაწილები ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება და კავშირშია დავალების სტრუქტურულ ჩარჩოსთან; არგუმენტაცია გავრცობილია; აბზაცები ლოგიკურად არის გამოყოფილი. | 2 |
| ნაწერი სტრუქტურულად მეტ-ნაკლებად გამართულია – აზრები, ძირითადად, მწყობრად არის გადმოცემული, მაგრამ ერთი-ორი პასაჟი (მაგ. არაარსებითი / არაადეკვატური მაგალითი) თხზულების სტრუქტურიდან ამოვარდნილია / არგუმენტაცია სქემატურია / ხშირად მეორდება ერთი და იგივე აზრი; აბზაცები ლოგიკურად არ არის გამოყოფილი. | 1 |
| ნაწერი არ არის გამართული სტრუქტურულად – აზრები მწყობრად, თანამიმდევრულად არ არის გადმოცემული; თხზულების ნაწილები ერთმანეთს ლოგიკურად არ უკავშირდება. | 0 |

| კრიტერიუმი 4.<br>სტილი, ლექსიკა | ქულა |
|---|---|
| ნაწერი ლექსიკურად ადეკვატურია, სტილი გამართულია (დასაშვებია ერთი-ორი უმნიშვნელო ხარვეზი). | 2 |
| ნაწერი ლექსიკურად შედარებით მწირია / სტილისტურად გაუმართავია ზოგიერთი მონაკვეთი. | 1 |
| ლექსიკა არაადეკვატურია, გვხვდება უხეში სტილისტური ხარვეზები. | 0 |

| **კრიტერიუმი 5.**<br><br>**სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია** | ქულა |
|---|---|
| დაშვებულია 0-5 შეცდომა. | 2 |
| დაშვებულია 6-10 შეცდომა. | 1 |
| დაშვებულია 10-ზე მეტი შეცდომა. | 0 |